

**PHILIPS**

HU2510



მომხმარებლის  
სახელმძღვანელო

# შინაარსი

|          |                                               |           |
|----------|-----------------------------------------------|-----------|
| <b>1</b> | <b>მნიშვნელოვანია</b> .....                   | <b>1</b>  |
|          | უსაფრთხოება .....                             | 1         |
|          | ელექტრომაგნიტური ველები (EMF) .....           | 4         |
|          | გადამუშავება .....                            | 4         |
| <b>2</b> | <b>თქვენი ჰაერის დამატენიანებელი</b> .....    | <b>4</b>  |
|          | პროდუქტის აღწერა .....                        | 5         |
| <b>3</b> | <b>პირველი ნაბიჯები</b> .....                 | <b>6</b>  |
|          | დატენიანებისთვის მომზადება .....              | 6         |
| <b>4</b> | <b>დამატენიანებლის მოხმარება</b> .....        | <b>6</b>  |
|          | დამატენიანებლის ჩართვა და გამორთვა .....      | 6         |
|          | წყლის დონე .....                              | 7         |
|          | წყლის ხელახლა ავსება .....                    | 7         |
| <b>5</b> | <b>გასუფთავება და მოვლა-შენახვა</b> .....     | <b>8</b>  |
|          | დამატენიანებლის კორპუსის გასუფთავება .....    | 8         |
|          | წყლის რეზერვუარის შევსება .....               | 8         |
|          | დამატენიანებელი ფილტრის გასუფთავება .....     | 8         |
| <b>6</b> | <b>დამატენიანებელი ფილტრის გამოცვლა</b> ..... | <b>10</b> |
| <b>7</b> | <b>ხარვეზების აღმოფხვრა</b> .....             | <b>11</b> |
| <b>8</b> | <b>გარანტია და მხარდაჭერა</b> .....           | <b>13</b> |
|          | ნაწილებისა და აქსესუარების შეკვეთა .....      | 13        |

# 1 მნიშვნელოვანია

## უსაფრთხოება

ყურადღებით წაიკითხეთ მომხმარებლის ეს სახელმძღვანელო მოწყობილობის ჩართვამდე და შეინახეთ ის მომავალში გამოსაყენებლად.

### საფრთხე

- მოწყობილობის გარშემო არ დაასხუროთ აალებადი ნივთიერებები, როგორიცაა ინსექტიციდები ან არომატიზატორები.
- დენის დარტყმის და/ან აალების საფრთხის თავიდან ასაცილებლად არ გაწმინდოთ მოწყობილობა წყლით, სხვა სახის სითხით ან (აალებადი) საწმენდი საშუალებით.
- წყლის რეზერვუარის წყალი დასაღვავად არ გამოდგება. არ დალიოთ ეს წყალი და არ გამოიყენოთ ის ცხოველებისთვის ან მცენარეების მოსარწყავად. წყლის რეზერვუარის დაცლის შემდეგ წყალი კანალიზაციის მილში ჩაუშვით.

### გაფრთხილება

- გაითვალისწინეთ, რომ მაღალმა ტენიანობამ შეიძლება გარემოში ბიოლოგიური ორგანიზმების ზრდა გამოიწვიოს.
- არ დაუშვათ სატენიანებლის გარშემო არსებული სივრცის დანესტიანება ან დასველება. ნესტის გაჩენის შემთხვევაში შეამცირეთ სატენიანებლის გამომავალი სიმძლავრე. თუ სატენიანებლის გამომავალი სიმძლავრის შემცირება შეუძლებელია, გამოიყენეთ სატენიანებელი წყვეტილი პერიოდებით. არ დაუშვათ ტენის შთამნთქმელი მასალების ტენით გაჯერება, როგორიცაა ხალიჩები, ფარდები, შტორები ან მაგიდის სუფრები.
- არასოდეს დატოვოთ წყალი რეზერვუარში, როცა არ იყენებთ მოწყობილობას.
- შენახვამდე დაცალეთ და გაასუფთავეთ სატენიანებელი. გაწმინდეთ სატენიანებელი შემდეგ გამოყენებამდე.
- მოწყობილობის შეერთებამდე შეამოწმეთ, შეესაბამება თუ არა მასზე მითითებული ძაბვა ადგილობრივი ელექტროქსელის ძაბვას.

- ელექტროკაბელის დაზიანების შემთხვევაში გამოცვალეთ იგი კომპანია Philips-ში, Philips-ის ავტორიზებულ სერვისცენტრში ან ანალოგიური კვალიფიკაციის მეორე სხვა სერვისცენტრში, რათა თავიდან აიცილოთ საფრთხე.
- აკრძალულია მოწყობილობის გამოყენება, თუ დაზიანებულია შტეკერი, ელექტროკაბელი ან თავად მოწყობილობა.
- ამ მოწყობილობის გამოყენება დასაშვებია ბავშვებისთვის 8 წლიდან და ასევე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან მენტალური შესაძლებლობების ან გამოცდილებისა და ცოდნის არმქონე პირებისთვის, თუ მათ მიიღეს ინსტრუქცია მოწყობილობის უსაფრთხო გამოყენების შესახებ ან მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და ესმით, რა საფრთხეები არსებობს. ბავშვებმა არ უნდა ითამაშონ მოწყობილობით. ბავშვებისთვის აკრძალულია მოწყობილობის განმენდა და მოვლა-შენახვა მეთვალყურეობის გარეშე.
- არ მოათავსოთ თითები ან საგნები ჰაერის გამომშვებში ან შემშვებში, რათა თავიდან აიცილოთ ფიზიკური დაზიანება ან მოწყობილობის გაუმართაობა.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობაში არ მოხვდება უცხო სხეულები ჰაერის გამომშვების გავლით.

## სიფრთხილე

- მოწყობილობა მხოლოდ ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვისაა განკუთვნილი.
- მოწყობილობა ყოველთვის დააყენეთ და გამოიყენეთ მშრალ, მყარ, სწორ და ჰორიზონტალურ ზედაპირზე.
- არ დაბლოკოთ ჰაერის შემშვები და გამომშვები.
- არ დადოთ არაფერი მოწყობილობის თავზე, არ დასხდეთ და არ დადგეთ მასზე.
- გამოიყენეთ მხოლოდ Philips-ის ორიგინალი ფილტრი, რომელიც განკუთვნილია სპეციალურად ამ მოწყობილობისთვის. არ გამოიყენოთ სხვა ფილტრი.
- არ შეუშვათ წყალი მოწყობილობის თავზე არსებული ჰაერის გამომშვებიდან.

- წყლის რეზერვუარი მხოლოდ ონკანის ცივი წყლით შეავსეთ. არ გამოიყენოთ გრუნტის წყალი ან ცხელი წყალი.
- წყლის რეზერვუარში წყლის გარდა სხვა არცერთი ნივთიერება არ უნდა მოხვდეს. არ დაამატოთ წყალში სუნამო ან ქიმიური ნივთიერება. გამოიყენეთ მხოლოდ წყალი (ონკანის, განმენდილი, მინერალური, ნებისმიერი სახის სასმელი წყალი).
- არ დაარტყათ მოწყობილობას (განსაკუთრებით ჰაერის შემშვებსა და გამომშვებზე) მყარი საგნები.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა გაზის დანადგარებთან, გამათბობელ მოწყობილობებთან ან ბუხრებთან ახლოს.
- არ მოათავსოთ მოწყობილობა პირდაპირ კონდიციონერის ქვეშ, რათა თავიდან აიცილოთ მასზე კონდენსატის მოხვედრა.
- არ გამოიყენოთ ეს მოწყობილობა, თუ შენობაში კვამლის ტიპის ინსექტიციდით სარგებლობით ან ადგილებში, სადაც ნავთობის ნარჩენები, წვადი საკმეველი ან ქიმიური გამონაბოლქვია.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა სველ ან ისეთ გარემოში, სადაც ჰაერის მაღალი ტემპერატურა ფიქსირდება, მაგალითად, აბაზანაში, ტუალეტსა და სამზარეულოში ან ისეთ ოთახში, სადაც ტემპერატურა მკვეთრად იცვლება.
- სხვა ადგილას გადატანის, განმენდის, წყლის ჩასხმის, ფილტრის შეცვლის ან ტექნიკური სამუშაოს შესრულების წინ მოწყობილობა ყოველთვის გამორთეთ შტეფსელიდან.
- არ გარეცხოთ ფილტრი სარეცხ მანქანაში ან ჭურჭლის სარეცხ მანქანაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ფილტრის დეფორმაცია.
- მოწყობილობის დიდი ხნით გამოუყენებლობის შემთხვევაში ფილტრზე შეიძლება გაჩნდეს ბაქტერიები და ობი. გაასუფთავეთ წყლის ავზი და გააშრეთ დამატენიანებელი ფილტრი. მოწყობილობის გამოყენების ხელახლა დაწყებამდე შეამოწმეთ ფილტრი. თუ ფილტრი ძალიან ბინძურია და აქვს მუქი ლაქები, შეცვალეთ იგი.

## ელექტრომაგნიტური ველები (EMF)

ეს მოწყობილობა აკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტებსა და რეგულაციებს ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების შესახებ.

## გადამუშავება

ეს სიმბოლო ნიშნავს, რომ მოცემული პროდუქტის უტილიზაცია არ უნდა მოხდეს ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად (2012/19/EU).



დაიცავით თქვენი ქვეყნის წესები, რომლებიც ელექტრული და ელექტრონული პროდუქტების განცალკევებით შეგროვებას ეხება. ნარჩენების სწორი უტილიზაცია ხელს უწყობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

## 2 თქვენი ჰაერის დამატენიანებელი

Philips მოგესალმებათ და გილოცავთ შენაძენს!


Philips-ის მხარდაჭერით სრულად სარგებლობისთვის თქვენი პროდუქტი დაარეგისტრირეთ აქ: [www.Philips.com/welcome](http://www.Philips.com/welcome).

Philips-ის ჰაერის დამატენიანებელი თქვენს სახლში ჰაერს გაასუფთავებს და დაატენიანებს თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის.

ის გთავაზობთ აორთქლების კომპლექსურ სისტემას NanoCloud-ის ტექნოლოგიით და იყენებს დატენიანების სპეციალურ ფილტრს, რომელიც H<sub>2</sub>O-ს მოლეკულებს ამატებს მშრალ ჰაერში და ჯანსაღ ტენიან ჰაერს წარმოქმნის წყლის აეროზოლის ფორმირების გარეშე. ჰაერის დატენიანების ფილტრის მეშვეობით მას წყლიდან გამოაქვს ბაქტერიები, კალციუმი და სხვა ნაწილაკები. თქვენს საცხოვრებელში ის მხოლოდ სუფთა, დატენიანებულ ჰაერს უშვებს. დაემშვიდობეთ მშრალ ჰაერს როგორც ზამთარში, ისე კონდიციონერის გამოყენების დროს.

ჰაერის დამატენიანებელის დამონტაჟებამდე და გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული სახელმძღვანელო. შეინახეთ იგი მომავალში გამოსაყენებლად.

# პროდუქტის აღწერა




## 3 პირველი ნაბიჯები

### დატენიანებისთვის მომზადება

#### შენიშვნა:

- იმისათვის, რომ მიიღოთ დატენიანების ოპტიმალური შედეგი, გამოყენებამდე დაასველეთ ფილტრი წყალში 30 წუთის განმავლობაში.




- 1 დაიჭირეთ ზედა ბლოკის ორივე მხრიდან და აწიეთ.
- 2 ახალ დამატენიანებელ ფილტრს მოაშორეთ ყველა შესაფუთი მასალა.
- 3 დაამაგრეთ ახალი დამატენიანებელი ფილტრი ფილტრის დამჭერის გარშემო.
- 4 მოათავსეთ დამატენიანებელი ფილტრი და ფილტრის დამჭერი წყლის რეზერვუარში.
- 5 აავსეთ წყლის რეზერვუარი ონკანის ცივი წყლით წყლის მაქსიმალურ ნიშნულამდე.
- 6 კვლავ მოათავსეთ ზედა ბლოკი წყლის რეზერვუარში.

## 4 დამატენიანებლის მოხმარება

### დამატენიანებლის ჩართვა და გამორთვა

- 1 შეაერთეთ დამატენიანებლის შტეკერი როზეტში.
- 2 დააჭირეთ ზანღ ჩამრთველს დამატენიანებელზე.
  - ზ: დელიკატური რეჟიმი
  - ღ: ტურბო რეჟიმი
- 3 დააჭირეთ კვების ღილაკს ო დამატენიანებლის გამოსართავად.

#### შენიშვნა:



- თუ წყლის დონე რეზერვუარში მეტისმეტად დაბალია, დამატენიანებელი შეწყვეტს ჰაერის დატენიანებას. ინდიკატორის ნათურა  $\Delta$  ჩართულია.
- დამატენიანებელი უშვებს ძალიან წმინდა, უხილავ აეროზოლს, ამიტომ ნორმალურია, რომ ვერ ხედავთ აეროზოლს.

## წყლის დონე

როდესაც წყლის რეზერვუარში არასაკმარისი წყალია,  $\Delta$  ინდიკატორი ირთვება და დამატენიანებელი წვეტს მუშაობას, დამატენიანებელი მუშაობას განაახლებს, როდესაც წყლის რეზერვუარს ხელახლა აავსებთ წყლით.

### შენიშვნა:


- ნორმალურია, რომ რეზერვუარში ცოტა წყალი იყოს დარჩენილი.

## წყლის ხელახლა ავსება

### შენიშვნა:

- წყლის ავსებისას, არ გადააჭარბოთ წყლის მაქსიმალურ დონეს, წინააღმდეგ შემთხვევაში წყალმა შეიძლება გამოჟონოს ჰაერის შემწოვი ხვრელებიდან.
- არ აანჭლოთ წყლის რეზერვუარი მოხსნისას, წინააღმდეგ შემთხვევაში წყალმა შეიძლება გამოჟონოს ჰაერის შემწოვი ხვრელებიდან.
- არ აავსოთ წყალი მოწყობილობის თავზე არსებული ჰაერის გამომშვებიდან.

1 გამორთეთ დამატენიანებელი და გამოაერთეთ ელექტროწყაროდან.



- 2 დაიჭირეთ ორივე მხრიდან და მოხსენით ზედა ბლოკი.
- 3 აავსეთ წყლის რეზერვუარი ონკანის ცივი წყლით წყლის მაქსიმალური ნიშნულის დონემდე.
- 4 კვლავ მოათავსეთ ზედა ბლოკი წყლის რეზერვუარში.

## 5 გასუფთავება და მოვლა-შენახვა

### შენიშვნა:

- განმეზღვრულ დროში ყოველთვის გამორთეთ დამატენიანებელი ელექტროქსელიდან.
- მოერიდეთ წყლის გადმოსხმას ჰაერის შემწოვი და გამომშვები ხვრელებიდან.
- არასდროს გამოიყენოთ აბრაზიული, აგრესიული ან აალებადი გამწმენდი საშუალებები, როგორიცაა მათეთრებელი ან ალკოჰოლი, დამატენიანებლის რომელიმე ნაწილის გასასუფთავებლად.

---

### დამატენიანებლის კორპუსის გასუფთავება

მტვრის დაგროვების თავიდან ასაცილებლად რეგულარულად გაასუფთავეთ დამატენიანებლის შიდა და გარე მხარე.

- 1 რბილი, მშრალი ქსოვილით გადანმინდეთ მტვერი დამატენიანებლის კორპუსიდან.
- 2 განმინდეთ ჰაერის შემშვები და გამომშვები რბილი, მშრალი ქსოვილით.

---

### წყლის რეზერვუარის შევსება


სისუფთავის შესანარჩუნებლად წყლის რეზერვუარი ყოველკვირეულად განმინდეთ.

- 1 ამოიღეთ დამატენიანებელი ფილტრი და ფილტრის დამჭერი.
- 2 დაამატეთ წყალში გარეული ცოთაოდენი თხევადი სარეცხი საშუალება წყლის რეზერვუარში.
- 3 განმინდეთ წყლის რეზერვუარი შიდა მხრიდან რბილი, სუფთა ქსოვილით.
- 4 წყლის რეზერვუარი დაცალეთ ნიჟარაში.
- 5 მოათავსეთ დამატენიანებელი ფილტრი და ფილტრის დამჭერი წყლის რეზერვუარში.

---

### დამატენიანებელი ფილტრის გასუფთავება


სისუფთავის შესანარჩუნებლად დამატენიანებელი ფილტრი ყოველკვირეულად განმინდეთ.



- 1 ამოიღეთ დამატენიანებელი ფილტრი და ფილტრის დამჭერი წყლის რეზერვუარიდან.
- 2 მოხსენით დამატენიანებელი ფილტრი ფილტრის დამჭერს.
- 3 ჩადეთ დამატენიანებელი ფილტრი საწმენდ სითხეში (მაგ. გაზავებული ლიმონმჟავას ხსნარი) ერთი საათის განმავლობაში.

### შენიშვნა:

- გამოიყენეთ ზომიერი ან მჟავის შემცველი საწმენდი საშუალება (24გ ლიმონმჟავა 4 ლ წყალთან ერთად).



- 4 გაავლეთ დამატენიანებელი ფილტრი წყლის გამდინარე წყალში. არ განუროთ ან დაგრიხოთ ფილტრი გარეცხვისას.
- 5 დააცადეთ, ჩამოიწუროს ზედმეტი წყალი დამატენიანებელი ფილტრიდან.
- 6 დაამაგრეთ დამატენიანებელი ფილტრი ფილტრის დამჭერის გარშემო.
- 7 მოათავსეთ დამატენიანებელი ფილტრი და ფილტრის დამჭერი წყლის რეზერვუარში.
- 8 კვლავ ჩადეთ ზედა ბლოკი წყლის რეზერვუარში.

### შენიშვნა:


- არ განუროთ ან დაგრიხოთ ფილტრი. ამან შეიძლება დააზიანოს ფილტრი და გავლენა იქონიოს დატენიანების პროცესზე.
- არ გააძროთ ფილტრი მზის სხივების ქვეშ, თუ ფილტრის სამაგრზე არ იქნება დამაგრებული.

## 6 დამატენიანებელი ფილტრის გამოცვლა

### შენიშვნა:

- გამოიყენეთ მხოლოდ Philips-ის ორიგინალი დამატენიანებელი ფილტრი FY1190.
- დამატენიანებელი ფილტრის შეცვლამდე, ყოველთვის გამოაერთეთ დამატენიანებელი კვების წყაროდან.
- დაარეგისტრირეთ თქვენი პროდუქტი მისამართზე **www.philips.com** ფილტრის შეცვლასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.
- არ გააშროთ ფილტრი მზის სხივების ქვეშ, თუ ფილტრის სამაგრზე არ იქნება დამაგრებული.

შეცვალეთ დამატენიანებელი ფილტრი ყოველ 6 თვეში ოპტიმალური ეფექტურობისთვის. თუ ფილტრი კარგ მდგომარეობაშია, შეგიძლიათ დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენოთ ის. დარწმუნდით, რომ დამატენიანებელი ფილტრი მინიმუმ წელიწადში ერთხელ შეცვალოთ.



- 1 ამოიღეთ დამატენიანებელი ფილტრი და ფილტრის დამჭერი წყლის რეზერვუარიდან.
- 2 მოხსენით დამატენიანებელი ფილტრი ფილტრის დამჭერს. გადაადგეთ გამოყენებული ფილტრი.
- 3 ახალ დამატენიანებელი ფილტრს მოაშორეთ ყველა შესაფუთი მასალა.
- 4 დაამაგრეთ ახალი დამატენიანებელი ფილტრი ფილტრის დამჭერის გარშემო.
- 5 მოათავსეთ ფილტრი და ფილტრის დამჭერი წყლის რეზერვუარში.
- 6 კვლავ ჩადეთ ზედა ბლოკი წყლის რეზერვუარში.

## 7 ხარვეზების აღმოფხვრა

ამ თავში შეჯამებულია ყველაზე გავრცელებული პრობლემები, რომლებსაც მოწყობილობის გამოყენებისას შეიძლება შეხვდეთ. თუ ქვემოთ მოცემული ინფორმაციით პრობლემის გადაწყვეტას ვერ მოახერხებთ, მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართეთ თქვენს ქვეყანაში.

| პრობლემა                                           | შესაძლო გადაწყვეტა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|----------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დამატენიანებელი არ მუშაობს.                        | <ul style="list-style-type: none"> <li>დარწმუნდით, რომ დამატენიანებელს მიეწოდება დენი.</li> <li>დარწმუნდით, რომ წყლის რეზერვუარი სავსეა წყლით და ზედა ბლოკი სათანადოდ არის დამაგრებული წყლის რეზერვუარზე.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                               |
| ჰაერი არ ტენიანდება.                               | <ul style="list-style-type: none"> <li>დარწმუნდით, რომ წყლის რეზერვუარი სავსეა წყლით და ზედა ბლოკი სათანადოდ არის დამაგრებული წყლის რეზერვუარზე.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| წყლის რეზერვუარი ჟონავს.                           | <ul style="list-style-type: none"> <li>დარწმუნდით, რომ დამატენიანებელი გადავსებული არ არის წყლით.</li> <li>დარწმუნდით, რომ დამატენიანებელი კარგად აწყობილი/შეერთებული ყოველი განმენდის შემდეგ ან მას შემდეგ, რაც მოხსნით ზედა ბლოკს და/ან წყლის რეზერვუარის ასავსებად.</li> <li>დარწმუნდით, რომ წყლის რეზერვუარი სათანადოდ არის დამაგრებული. თუ პრობლემა არ მოგვარდება, დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრს თქვენს ქვეყანაში.</li> </ul> |
| ვერ ვხედავ ტენიანობის დონის ცვლილებას ჰიგრომეტრზე. | <ul style="list-style-type: none"> <li>დარწმუნდით, რომ დამაგრეთ დამატენიანებელი ფილტრი ფილტრის დამჭერის გარშემო.</li> <li>დამატენიანებელი ფილტრი დაბინძურებულია. გაავლეთ და/ან მოაშორეთ ნადები დამატენიანებელ ფილტრს (იხილეთ თავი „დამატენიანებელი ფილტრის გაწმენდა“).</li> <li>თქვენი ოთახი შეიძლება ზედმეტად ნიავედობა. დახურეთ კარები და ფანჯრები.</li> <li>თქვენი ოთახი მეტისმეტად დიდია.</li> </ul>                                           |

| პრობლემა                                                                                          | შესაძლო გადაწყვეტა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| დამატენიანებელ ფილტრზე რაღაც თეთრი ნარჩენებია.                                                    | <ul style="list-style-type: none"> <li>• თეთრ ნარჩენებს ნადები ეწოდება და ის წყალში შემავალი მინერალებისგან შედგება. დამატენიანებელ ფილტრზე არსებული ნადები გავლენას ახდენს დატენიანების ეფექტურობაზე, თუმცა თქვენი ჯანმრთელობისთვის მავნე არაა. მიჰყევით მომხმარებლის სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციებს დასუფთავების შესახებ.</li> </ul>                                                                                                                                                       |
| გარკვეული დროის შემდეგ, ფილტრი გაუფერულდება.                                                      | <ul style="list-style-type: none"> <li>• ფილტრის მასალაზე ნადების აღმოჩენა ბუნებრივი ეფექტია და ის გავლენას არ ახდენს დატენიანების პროცესზე. ხშირად განმინდეთ დატენიანების ფილტრი მყარი ნარჩენების მოსაშორებლად და შეცვალეთ დატენიანების ფილტრი ყოველ 6 თვეში ერთხელ.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                    |
| დამატენიანებლიდან არასასიამოვნო სუნი ამოდის.                                                      | <ul style="list-style-type: none"> <li>• დარწმუნდით, რომ წყლის რეზერვუარი სავსეა.</li> <li>• განმინდეთ დამატენიანებელი ფილტრი (იხილეთ თავი „დამატენიანებელი ფილტრის განმენა“).</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| ჰაერის გამომშვები ნახვრეტიდან ჰაერი არ გამოდის.                                                   | <ul style="list-style-type: none"> <li>• შეაერთეთ დამატენიანებლის შტეკერი როზეტში და ჩართეთ დამატენიანებელი.</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| ვერ ვხედავ დამატენიანებლიდან ამომავალ ხილულ აეროზოლს. მოწყობილობა მუშაობს?                        | <ul style="list-style-type: none"> <li>• როცა აეროზოლი ძალიან თხელია, მისი დანახვა შეუძლებელია. ამ დამატენიანებელს აქვს NanoCloud-ის დამატენიანებელი ტექნოლოგია, რომელიც ჯანსაღ, ტენიან ჰაერს უშვებს წყლის აეროზოლის წარმოქმნის გარეშე. აქედან გამომდინარე, თქვენ აეროზოლს ვერ ხედავთ.</li> </ul>                                                                                                                                                                                                   |
| თუ დამატენიანებელი დიდი ხანია არ გამოგიყენებიათ, როგორ შევინახოთ ის და როგორ გამოვიყენოთ ხელახლა? | <ul style="list-style-type: none"> <li>• დამატენიანებლის დიდი ხნით გამოუყენებლობის შემთხვევაში ფილტრებზე შეიძლება გაჩნდეს ბაქტერიები და ობი. გთხოვთ დაიცვათ შენახვისა და ხელახალი გამოყენების ეტაპები.</li> <li>• გაასუფთავეთ წყლის რეზერვუარი და გააშრეთ დამატენიანებელი ფილტრი.</li> <li>• დამატენიანებლის ხელახლა გამოყენებამდე შეამოწმეთ ფილტრები. თუ ფილტრი ძალიან დასვრილია მუქი ლაქებით, შეცვალეთ ის (იხილეთ თავი „დამატენიანებელი ფილტრის შეცვლა“ მომხმარებლის სახელმძღვანელოში)</li> </ul> |

## 8 გარანტია და მხარდაჭერა

„Versuni“ გთავაზობთ ორწლიან გარანტიას ამ პროდუქტის შეძენის შემდეგ. ეს გარანტია არ იქნება მოქმედი, თუ წუნი გამოწვეულია არასწორი გამოყენებით ან არაკვალიფიციური ტექნიკური მომსახურებით. ჩვენი გარანტია გავლენას არ ახდენს თქვენს სამომხმარებლო უფლებებზე, კანონის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ან გარანტიის გამოსაყენებლად, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს:

**[www.philips.com/support](http://www.philips.com/support).**

---

### ნაწილებისა და აქსესუარების შეკვეთა

თუ ნაწილის შეცვლა გჭირდებათ ან დამატებითი ნაწილის შეძენა გსურთ, ეწვიეთ Philips-ის სავაჭრო აგენტს ან იხილეთ **[www.philips.com/support](http://www.philips.com/support)**.

თუ ნაწილების შეძენას ვერ ახერხებთ, Philips-ის მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრს დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში.



Philips და Philips Shield Emblem წარმოადგენს კომპანია Koninklijke Philips N.V.-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს და გამოიყენება ლიცენზიის შესაბამისად. მოცემული პროდუქტი დამზადებულია და იყიდება კომპანია Versuni Holding B.V.-ის პასუხისმგებლობით, ხოლო Versuni Holding B.V. წარმოადგენს გარანტს პროდუქტთან მიმართებაში.

2023 © Versuni Holding B.V..

HU2510\_user manual\_v1.0 (08/10/2023)

